

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი

7 ივნისი, 2012 წელი

გადაწყვეტილება № 2

2012-2013 სასწავლო წლისათვის ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა
სასწავლო დატვირთვის ზღვრული
ოდენობის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. 2012-2013 სასწავლო წლისათვის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

- სრული პროფესორი - 200 საათი;
- ასოცირებული პროფესორი - 250 საათი;
- ასისტენტ-პროფესორი - 320 საათი;

ბ) მუსიკის ფაკულტეტი:

- საშემსრულებლო მიმართულებით:
სრული პროფესორი - 600 საათი;
- ასოცირებული პროფესორი - 650 საათი;
- ასისტენტ-პროფესორი - 700 საათი;
- კონცერტმამისტერი - 800 საათი;

- მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის მიმართულებით:

- სრული პროფესორი - 300 საათი;
- ასოცირებული პროფესორი - 350 საათი;
- ასისტენტ-პროფესორი - 400 საათი;

2. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნებისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე დასაშვებია პროფესორის დატვირთვის ზღვრული ოდენობა 10 (ათი) საათით ნაკლებს ან მეტს შეადგენდეს. დატვირთვაზე ზევით 10 (ათ) საათამდე პროფესორს არ აუნაზღაურდება.

3. მუსიკის ფაკულტეტზე დასაშვებია პროფესორის დატვირთვის ზღვრული ოდენობა 20 (ოცი) საათით ნაკლებს ან მეტს შეადგენდეს. დატვირთვაზე ზევით 20 (ოცი) საათამდე პროფესორს არ აუნაზღაურდება, ხოლო დეკანის დატვირთვა 1 (ერთ) სამტატო ერთეულზე დასაშვებია 50 (ორმოცდაათი) საათით ნაკლები.

4. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორს უფლება აქვს შტატს ზემოთ შეითავსოს არა უმეტეს 200 საათისა, გარდა მუსიკის ფაკულტეტისა.

5. სამტატო ერთეულის სავალდებულო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტებია:

- ლექცია/პრაქტიკული/სემინარი;
- ნაშრომის ხელმძღვანელობა;
- პრაქტიკის ხელმძღვანელობა.

6. საშემსრულებლო მიმართულებით ხელმძღვანელის დატვირთვა შეადგენს:

- საბაკალავრო/პროფესიული ნაშრომისთვის - 15 (თხუთმეტი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე;
- სამსახიობო სპეციალობაზე - 60 საათი ჯგუფზე;
- სამაგისტრო ნაშრომისათვის - 40 (ორმოცი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე.

7. თეორიული მიმართულებით ხელმძღვანელის დატვირთვა შეადგენს:

- საკურსო ნაშრომისათვის - 5 (ხუთი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე;
- საბაკალავრო/პროფესიული ნაშრომისთვის - 10 (ათი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე;
- სამაგისტრო ნაშრომისათვის - 20 (ოცი) საათი 1 სტუდენტზე.

8. პრაქტიკის ხელმძღვანელობა:

- საწარმოო პრაქტიკა ჯგუფზე 1 კრედიტი - 2 საათი;
- სავალდებულო პრაქტიკა ჯგუფზე 1 კრედიტი - 4 საათი.

9. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 15 ოქტომბრის № 4 გადაწყვეტილება.

10. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი

თ. მეიშვილი